ᲔᲚᲚᲘᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲛᲐᲘᲡᲘ 1915 Ꭲ. № 4

საქართველო

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲞᲔᲢᲘᲢᲘᲗ ᲦᲘᲠᲡ 15 Კ., ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲖᲔ—10 Კ., ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡ 4 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲦᲘᲠᲡ 4 ᲛᲐᲜ.,

4 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ (ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ Ს. ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ,) ᲓᲐ ᲔᲦᲘᲠᲔᲑᲐ 5 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ—ᲓᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲣᲥᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲓᲦᲔᲡ 9—3-ᲛᲓᲔ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 5—7-ᲛᲓᲔ.

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ; ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ; ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲜᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, № 4.

ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა, (5 მან.) „საქართველოს“ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲗ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 30 ᲛᲐᲘᲡᲡ, 1915 Ꭲ.

ᲜᲘᲜᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ

წარმოდგენა

ᲭᲘᲚᲙᲝᲜᲓᲐ

ტრაგედია 4 მოქ. თარგმ. პ. დადვაძისა.

მონაწილეობენ: ნ. ჩხეიძე, ა. ქიქოძე, ნ. გამრეკელი-თორელი, ნ. თოიძე, მედეა, ქორელი, ა. იმედაშვილი, პ. კორიშელი, მ. ჭიაურელი.

სილვიას როლს შეასრულებს **ნ. ჩხეიძე**
ლიუჩიოს როლს „ **ა. იმედაშვილი.**

დასაწყისი სალამოს 8 საათზე

ადგილების ფასი 1 მ. 50 კ-დან 10 კ-მდე
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

რეჟისორი **მ. ქორელი.** 3—1

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 3 ივნისს, თელავის საკრებულოს დარბაზში **ს. ᲨᲐᲨᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** თაოსნობით გაიმართება

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ

ᲡᲐᲦᲐᲛᲝ-ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲘ

სამს განყოფილებად.

1) ლექცია,
2) წარმოდგენა,
3) სიმღერა, დეკლამაცია, შარჟები, თარი, სცენები.

მონაწილეობას მიიღებენ: კიტა აბაშიძე, ოსიკო ბარათაშვილი, ს. ფაშალიშვილი, ძსახიობნი ნინო დავითაშვილი, მ. ჭიაურელი, ი. შაშიანელი, ი. საღირაშვილი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თელავში, ქ. შ. წ. კ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ნინო გოგოლაძესთან.

საღამოს დიასახლისობს **კნეინა ელენე ივანეს ასული ჭავჭავაძისა.** (3—6—1)

ᲘᲠᲐ ᲔᲕᲓᲝᲥᲘᲛᲝᲕᲘᲚᲘᲡ

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსაის გადაეცემა.

„საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა.

—უ—

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲥᲐᲚᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21,

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ

მოსე ანთიმოსის მე

ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

როსი ექიმი ტფ. კაჟეტთა კორპუსისა.

ᲨᲕᲗᲐ, ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ და **ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚ ᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲐᲜ** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

Ქ. ᲒᲝᲠᲨᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Მ. ᲙᲚᲘᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს შინაგან და ქირურგიული ნეულებიან ავადმყოფებს.

ᲐᲕᲐᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲨᲔᲤᲘᲡᲐ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲗᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 28 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲡᲘᲛᲨᲘᲚᲘ

ქართული პრესა გულ-მტკივნეულად ვამოეხმაურა ჩვენი ქვეყნის უბედურებას. დაიწერა არა ერთი წერილი, გამოაქვეყნეს არა ერთი და ორი ფაქტი თავის ჩამოხჩობისა, თუ წყალში გადავარდნისა, რა ვერ აუტანია სახლის უფროსის მშობლიურ გულს დამშეულის ცოლშვილის ტანჯვა, წყვეტება. ვიცით ისიც., რომ სადგურ აბაშას თავს დაესხა ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსული დამშეული ბრბო, რომ მან ძალით ფქვილი გაიტაცა, იქვე პური გამოაცხო და ბავშვებს ლუკმა ჩამოურიგა.

პრესამ ისიც აღნიშნა, რომ დედები ბავშვებიანა კარ და კარ დაძრწიან, ლუკმა პურის ჩამოსათხოვრად, რომ სიმშილისაგან ოჯახის წევრები ლოგინად ჩავარდნილან და ხშირად გარდაცვლილან კიდეც. გვწამს, სინამდვილის საშინელება სავსეობით კიდევ ვერ არის პრესაში აღნიშნული. ყოველი გმინვა დამშეული სულის და ყოველი ფაკტი სიმშილის გამო თავის ჩამფხჩობისა თუ გარდაცვლისა ვერ მოაღწევდა დედაქალაქის პრესამდე ჩვენი ქვეყნის შორეული სოფლის სიღრმიდან.

განა ყოველ დამშეულ სოფელს აყვს თავისი ქრონიკიორი, თავისი სპეციალი კორესპონდენტი!

მაგრამ მოთხრობილი ფაქტებიც უაღრესად ცხად ყოფენ რომ საქმე გვაქვს დამშევის უკიდურეს შედეგებთან. თავის ჩამოხჩობა და შიმშილით გარდაცვალება ტანჯვის უკიდურესი ფინალია, საბედისწერო დასასრული. და რომ მთელი სოფელი დამშეული არ იყოს, და სახვალიო საზრდოს მოკლებული, თითო-ოროლა კაცის თავჩამოხჩობასაც ადგილი არ ექნებოდა,—სოფელი უხვია და მოწყალე.

ეს დღევანდელი ვითარებაა, შედეგი წარსულის წლის მოუსავლობის.

ხვალინდელი სურათი?

ბევრად უფრო მძაფრი, ბევრად უფრო შესაზარი, რადგანაც დახნულია და დათესილი ბევრად ნაკლები, ვიდრე წარსულ წელს, ცალკე მუშა ხელის გაცლისა და ცალკე სათესლეს უქონლობის გამო, რადგანაც, რაც დაითესა, ისიც ავდარმა გაატიალა. ზუგდიდის მაზრიდან ჩამოსული საკრედიტო ამხანაგობათა კავშირის რწმუნებულები და ბევრნი სხვანიც გადმოგვცემენ, წკრებმა ნიადაგში თესლი ჩაალპოო. ცხადია მიმდინარე წლის მოუსავლობაც. სიმშილი დასუსტებული ხალხის ორგანიზმს კიდევ სიმშილი მოელის. მაშინ ნახავთ, ფაქტია ჯოჯოხეთი დატრიალდება ჩვენს სოფელში. აბა, სენი და ავადმყოფობა მაშინ იჩენს თავს და მუსრად მოევლინება ყველანას. მოსჩანს ხალხის გადაშენების საშინელი აჩრდილი. მეტად მძიმე პრობლემის წინაშე ვდგევართ.

საცა კი მიუწვდა, პრესამ ეს ამბავი ყოველგან გაიტანა. იწამა სიმშილობის სინამდვილე მთავრობამაც. სიმშილობა გასცილდა საკამათო ხასს. მისი უნივერსალობა აღიარებულია ყველასაგან. ამის შეგნება აუცილებელი იყო. თუ უშეგნებოთ ვერაფერი გაკეთდება, ვერც მარტო შეგნება გააკეთებს რასმე. საჭიროა **პრაკტიკულად სიმინდის ყიდვა, ჩამოტანა და დარიგება.** და ამ მარივ საზოგადო ინიციატივას არაფერი ეაუკეთებია. მისი წყალობით ჯერ-ჯერობით ერთი ფუთი სიმინდი არ შემოსულა დამშეულ მხარეში. მთავრობასაც საჭირო განკარგულება ვერ გაუცია საკვების შემოსაზიდათ. დამშეულთა მდგომარეობა გადასცდა ტანჯვის სიმკვეთრის მწვეტვალს. როგორც აღვნიშნეთ, ხალხი იხოცება ან თავს იხჩობს.

ამ ქვეყნის უბედურებას გულისყური ათხოვა აგრეთვე კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეოთხე ყრილობამ, რომელმაც ამ ორიოდე დღის წინად მოათავა თავისი მუშაობა თბილისს.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზედ წარმომადგენელთა ერთმა ჯგუფმა ასეთი განცხადება შემოიტანა:

„ქუთაისის გუბერნიის სოფლებიდან მეტად შემზარავი ამბები მოდის. გუბერნიის მცხოვრებთ სიმშილი ამოწყვეტას ემუქრება. რადგან დღევანდელი სიძვირის გამო, საზოგადოებას არ მოეპოება არავითარი სახსარი არსებობისა, ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ვსთხოვთ კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეოთხე ყრილობას, ღონე იძიოს სიმშილის წინააღმდეგ და სურვილი გამოსთქვას, რათა უმაღლესი მთავრობა დაუყონებლივ მიეშველოს დამშეულ გლეხობას. გთხოვთ ჩვენი განცხადება აქვე, ყრილობაზე გამოაქვეყნოთო“.

კიდევ ერთი დეკლარაცია მეტყველი და ნათელი სრულიად კავკავის ქალაქთა წარმომადგენლების! საქმე მაინც არა სჩანს. და სიმშილიც თავისას არ იშლის. საერთო უმწეობასა და უბედურობასთან საბრძოლად ქართველმა საზოგადოებამ ამ შვიდიოდე წლის წინად შექმნა ეგრედ წოდებული „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება“. კარგა ხნის უსაქმურობის შემდეგ, მას გამოცოცხლება დაეტყო. მსოფლიო კატასტროფას უნდა უმადლოდეთ; რომ ის არა, თქვხნი მტერი, ძილს გადაყვებოდა, ალბად.

ვიცით, რომ დღეს ეს საზოგადოება უდარდელი და უსაქმური არა ზის. მაგრამ გულახდით ვიტყვით, მისი საქმიანობა არ გვაკმაყოფილებს: განსაკუთრებულ დროსა და პირობებში განსაკუთრებული ენერგია და ინტესიურობა უნდა გამოეჩინა. ამას მით უფრო მოვითხოვთ, ამ საზოგადოებში მოქცეულია თითქმის ყველა ჩვენი პრაქტიკმოღვაწე და კალმოსანი ინტელიგენტი.

თუ რჩეული შენადგენობის საზოგადოება უიმედოდ დაგვსვამს ამ უაღრესი განსაცდელის დროს, სადღა ვეძიოთ საზოგადოება და ახალი ადამიანები?

ᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

საერთოდ ბალტიის ზღვაზე და კერძოთ რიგის ყურეში გერმანელებმა მოუხშირეს საზვერავ ოპერაციებს. ნაღმოსნები და კრეისერები წინადაც ხშირი სტუმრები იყვნენ, ხოლო ძლიერ ესკადრის თარეში ამტკიცებს, რომ გერმანელები ბალტიის მხარეს განსაკუთრებულ გეგმის განხორციელებას აპირებენ. ზღვაზე გახშირებულ თარეშს შეიძლება მჭიდრო კავშირი ჰქონდეს კოვნო-ლიბავის ფრონტზე ბრძოლის გამწვავებასთან მთავარი შტაბი და სამხედრო გაზეთი „ნაშ ვესტნიკი“ იუწყება, რომ ამ ფრონტზე, ბუშიესა და მდინარე დუბისას შუა გერმანელებს მოუგროვებიათ დიდძალი ჯარი და ცხარე ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარს დაუხევია შავლამდე. სამაგიეროდ რუსის ჯარს დუბისას შესართავის დასავლეთით წინ წაუწევია, ჩრდილო-დასავლეთით მიიწევს და გერმანელთა ჯარის მარჯვენა წვერს ემუქრება. ვისლის მარცხენა მხარეს და ბუგო-ნარევის ხაზის შესახებ არავითარი ცნობა არ არის გარდა ერთისა: გერმანელთა საალყო არტილერია ისევ უშენს ყუმბარებს ციხე ოსოვეცსაო.

სამაგიეროდ დასასრული არ უჩანს მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო გალიციის ბრძოლას. ორმოცი ღღის განმავლობაში სამმილიონიანი ჯარი იბრძვის სასტიკად, მედგრად და გაშმაგებით. ავსტრო-გერმანელები წინ მოიწევენ, მაგრამ რუსის ჯარი ადვილად არაფერს ღთმობს და თითო ადგილ მიწისთვის მხნედ და თავგანწირვით იბრძვის. იაროსლავის გზით წამოსულმა ავსტრია-გერმანიის ჯარმა მიაღწია მდინარე ვიშნას მარცხენა ნაპირს, სადაც მეტად ცხარე ხელჩართული ბრძოლა მოხდა. აქ, მთავარ შტაბის ცნობით. რუსის ჯარმა დაიხია და თან 2000 ტყვე წამოიყვანა.

დნესტრზედაც მეტად მკაცრი ბრძოლა ხდება. აქედან მომავალ ავსტრიის ჯარს სურს ორის გზით სამხრეთით გავიდეს ლვოვის კენ. ამ მიზნით ისინი აწვებიან სტრიიდან ორ ადგილას: ჟიდაჩევსა და ჟურავნოს. ჟიდაჩევთან რუსის ჯარს მტერი მოუგერებია, მაგრამ მოპირდაპირეს ჟურავნოსთან გადმოულაბავს მდინარე დნესტრი, მოჰფენია მის მარცხენა ნაპირს და მისდევს რკინის გზას. უფრო მარჯვნივ, დნესტრის მარჯვენა ნაპირზე წინ მიმავალ რუსის ჯარისა დღეს არაფერი ისმის.

მ. ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲔᲚᲘ.

ᲓᲔᲙᲐᲔᲗᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 24 მაისს ოსმალებმა სცადეს შემოტევა ოლთის მიმართულებით, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ვანის რაიონში ჩვენი ჯარი მისდევს ოსმალთა ჯარს, რომელიც გადავიდა ჯავლაბას ქედს და გასცდა ზერანისა და კო-ჩანის ხაზს. ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე ოსმალებს დავახევინეთ ანგელიუ-მიჩვან-მოკუსის ხაზამდე. სხვაგან ცვლილება არ მომხდარა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 25 მაისი. ოფიციალურად იუწყებიან: დილის სამის ნახევარზე ინგლისელთა ორმა ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ბრიუსელის ჩრდილოეთით, სარჩში, სადაც ცეპელინების ბინა იყო გამართული. ყუმბარებმა მიზანს მიაღწიეს. ორ ადგილას დიდი სვეტი ამოვარდა ალისა, თუმცა დანამდვილებით არ ვიცით, იყო თუ არა ამ დროს თავის ბინაზე ცეპელინი. ორივე ავიატორი მშვიდობით დაბრუნდა.

დილის 3 საათზე მეორე ინგლისელმა ავიატორმა იერიში მიიტანა გერმანელთა ცეპელინზე გენტსა და ბრიუსელის შუა, 6000 ფუტის სიმაღლეზე, და ესროლა ექვსი ყუმბარა. ცეპელინი აფეთქდა, ძირს ჩამოვარდა და დაიწვა. აფეთქების ძალამ ავიატორის აპარატი გადააბრუნა, მაგრამ ავიატორმა მოახერხა გასწორება, თუმცა მაინც იძულებული შეიქმნა ძირს დაშვებულიყო. ავიატორმა მაინც მოახერხა აფრენა და მშვიდობით დაბრუნება

საადმირალო იუწყება: კვირა ღამეს. გერმანელთა ცეპელინი ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირებს დაეცა და ცეცხლის წასაკიდი ყუმბარები ჩამოყარა. ორგან ცეცხლი მოეკიდა. 2 მოკვდა და 40 დაიჭრა.

ᲐᲓᲔᲡᲐ, 26 მაისი. ადესის მახლობლად ნაღმისაგან ჩაძირული ოსმალთა კრეისერი „მეჯიდიე“ წყლიდან ამოიღეს და გემების დახმარებით ნავთსადგურში შემოიტანეს. კრეისერს დოკში დააყენებენ შესაკეთებლად.

ᲠᲝᲛᲘ, 25 მაისი. საზღვაო შტაბი იუწყება: 25-ს დილით ჩვენი კონტრ-ნაღმოსანთა ესკადრა თავს დაეცა მესამედ მონფალკონეს. ციხე-კოშკის დუინოს მახლობლად დაწყობილმა მტრის სამმა ბატარეიამ მძლავრი პასუხი მისცეს ესკადრას, მაგრამ მან ციხე-კოშკი დასწვა, ერთი ბატარეია ჩააჩუმა და უვნებლად დაბრუნდა.

ჩვენმა დირიჟაბლმა წინა ღამეს რამდენიმე ყუმბარა გადისროლა პოლაში. იგი უმიზნებდა ისეთ ადგილებს, რომელთაც სამხედრო მნიშვნელობა აქვთ.

ᲞᲔᲢᲠᲝ�გᲠᲐᲓᲘ. 26 მაისი. მთავარი შტაბის მოხსენება. შავლის რაიონში მტერმა გააძლიერა მოქმედება. ჯართა შესაფერი გადაჯგუფების შემდეგ ბუბიეს მიმართულებით სასტიკად ეკვეთა ჩვენს ჯარებს. 25 მაისს ჩვენმა ჯარებმა ლასტოვეს ეს სოფელი და შავლის პოზიციისკენ დაიხიეს. ᲑᲣᲑᲘᲡᲘᲡ ქვემოდ ჩვენ კვლავ განვაგრძობთ წინსვლას ვისლის მარცხენა ნაპირზე, რავას ჩრდილოეთით, გერმანელებმა ზენა ქარით ისარგებლეს და მოშხამულ გაზიანი ყუმბარები დაუშინეს ჩვენს ჯარს. გალიციაში, ვიშნის მარცხენა ნაპირზე, სადაც მტერმა 24 მაისს მოახერხა ჩვენი ჯარების შეევიწროება, ჩვენ კონტრ იერიშით ვეკვეთეთ და დღე-ღამის განმავლობაში 2 ათასამდე ტყვე წამოვიყვანეთ. დნესტრის ასპარეზზე 24 და 25 მაისს მდინარე ტისმენიცისა და ლუკვის შუა ბრძოლა სასტიკი სახით სწარმოებდა. ჰარლტბერგის მერჯვენითა სიმაგრეებიდან მოყოლებული ჟიდაჩევამდე მტერს განუწყეტელი იერიშები მოჰქონდა, მაგრამ ყოველივე ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ. ჟიდაჩევთან 300 ტყვე წამოვიყიანეთ 6 აფიცრითურთ და ორი ტყვიის მფრქვეველით. დნესტრის მარცხენა ნაპირზე, ჟურავნოსთან, მტერს მაშველი ჯარი მოუვიდა და გაძლიერებული გაიშალა ტყის გასწვრივ და რკინის გზისკენ. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები ს. სივკასთან ჩვენს ხაფანგში გაებნენ: ჯერ ტყვიის მფრქვეველები დავუშინეთ, 20 გერმანელი დავხოცეთ, ხოლო რამდენიმე ათეული წამოვიჩვანეთ ტყვედ. გერმანელთა იერიში სივკოსა და ლუვკოსთან მოგერიებულ იქმნა.

ᲞᲔᲢᲠᲝ�გᲠᲐᲓᲘ. 26 26 მაისი. გენერალური შტაბის მოხსენება. 15 მაისს გალიციაში მომქმედ ჯარების რაოდენობა იქმნა გამორკვეული, აღმოჩნდა, რომ 15 აპრილიდან 15 მაისამდე ჩვენ რამდენიმე ნაკლები ზარალი მოგვსვლია, ვიდრე ამას ირწმუნებოდნენ გერმანელები.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 25 მაისი. არრასის ჩრდილოეთით გაცხარებული იერიშებია. მთელი დღე განუწყვეტელი საარტილერიო ბრძოლაა, ბიუვალსთან, აბლენსა, სუშესა, ნევილასა და ეკიურსთან. ნევილთან მტრის გარშემოვუვლით. ორ ადგილას თამამად მოვიგერიეთ მტრის იერიში. ერთგან ჩვენ მივიტანეთ იერიში, ავიღეთ ფერმა, ტყვედ წამოვიყვანეთ 400 კაცი 7 აფიცრითურთ.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ. ამას წინად ჰააგაში შესდგა ქალთა საერთაშორისო კონგრესი მშვიდობიანობის შესახებ—რომელმაც დაადგინა: გაგზავნოს ყველა ქვეყნებში დეპუტაციები კონგრესის დადგენილების გასაცნობად.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. საახალშენო სამინისტრო იუწყება, რომ ცეილონის სხვა და სხვა კუთხეებში მოხდა მაჰმადიანთა საწინაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმდეგო უწესოებანი. მაჰმადიანთა დუქნები კანდიაში დაამტვრიეს და გაძარცვეს. გამოცხადებულია სამხედრო წესები. გუბერნატორის მოხსენებიდან სჩანს, რომ უწესოება გამოწვეულია რასიული და კომერციული შუღლით—და ევროპიელებისათვის საშიშო არ არისო. მოხდა რამდენიმე მკვლელობა. უწესოებაში მონაწილეობის მიმღებნი დახვრიტეს.

26 მაისის რუსულ გაზ. „ნოვ. ვრ.“-ს მიმოხილვა: ვინდავის და შოტლანდიის შუა მტრის 10 გემი გამოჩნდა. მათ შეებრძოლა ჩვენი წყალქვეშა. ნავი წყალში ჩაიყურჭუმალევებდა ხოლმე და ისე უშენდა ნაღმებს, რის გამო დიდი აფეთქების ხმა ისმოდა. უკანასკნელ დროს გერმანელთა ფლოტი რიჟის ყურესთან მოქმედებდა. მზვერავ პატარა ნავებს დიდი გემები ეხმარებოდა. გერმანელებმა როცა გაიგეს რუსის ნაღმოსანთა გზის გადაღობვა, დასავლეთისაკენ გაატრიალეს ესკადრა. გერმანელების მსუბუქი კრეისერი რუსის ნაღმს წააწყდა, მაგრამ არ ჩაძირულა. იგი ლიბავაში მიიყვანეს. გემი „ჰინდენბურგი“ რუსის ნაღმით ჰპენზინის ახლოს აფეთქდა. შავლის მხარეს, მდინარე დუბისთან ბრძოლა გრძელდება. ზოგიერთ ადგილას გაცხარებული ხელჩართული ბრძოლაა, მალე მათ მაშველი ჯარი მიემატათ და თავგამოდებით დაიწყეს თავდასხმა. ჩვენ იძულებული გავხდით შევჯგუფებულიყოფილიყავით.

ოსოვეცის სიმაგრეს გერმანელები ავტომობილებისა და მძიმე არტილერიის ზარბაზნებს უშენდნენ. გერმანელებმა 300-ჯერ გაისროლეს, რასაც ციხისთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია. რუსის მეციხოვნე არტილერია მოხერხებით შეებრძოლა მოწინააღმდეგის არტილერიას და ორი მისი ბატარეია ჩაჩუმა. ოსოვეცის ერთმა ბატარეიამ წინ წაიწია, რაძივილოვში გერმანელთა რაზმის შტაბს დაუშინა და მათში არევდარევა გამოიწვია. მდ. ბობრისა და ვისლის შუა ერთმანეთ შორის სროლა სწარმოებდა. აქ გერმანელებმა ერთ საღამოს 2,000-ჯერ გაისროლეს, მაგრამ რუსებისათვის შესამჩნევი ზიანი არ მოუყენეზიათ. რუსის არტილერიამ აიძულა გერმანელთა ზოგი არტილერია ჩაეჩუმებინა. ბევრ ალაგას გერმანელებმა თხრილების მუშაობას თავი მიანებეს. ზოგიერთ ადგილას საშინელი აფეთქება მოჰხდა. ვისლის მარცხენა მხარეს დიდი შეტაკება არ ყოფილა. რუსის მძიმე არტილერიამ სკერნევიცს სროლა დაუწყო; სადგურს ცეცხლი წაეკიდა. „ახალ სასახლის“ მახლობლად რუსის არტილერიისგან გაფანტულ იქმნა მოწინააღმდეგეთა სურსათის გადამტანი ეტლები. მრავალი ეტლი დაიმტკრა. ვოლი-შილლოვის რაიონში გერმანელები სროლას განაგრძობენ მოშხამულ გაზებითურთ.

ათინა. 25 მაისი. ტენოდოსიიდან იუწყებიან, ავსტრიელთა წყალქვეშა დაღუპა ხორტაროს მახლობლად. ეკიპაჟი ტყვედ იქნა წაყვანილი.

რუმი. 26 მაისი. მთავარი შტაბის მოხსენება 25 მაისს. მთელ საზღვრის გასწვრივ ჩვენი მოწინავე რაზმი განაგრძობდა პოტიზიების დაჭერას. ლავაროინისა და ფოლგარიის მაღლობში საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა. კარეტოდან დაწყებული ზღვამდე ჩვენ მოწინააღმდეგეთა მოწინავე რაზმებთან მოვდიოდა შეტაკება.

მდინარე იზონცო გადავლახეთ. ამ ოპერაციას ის მნიშვნელობა აქვს, უზრუნველ ვყოთ თავისუფალი მანევრები. ჩვენი დანაკლისი უმნიშვნელოა.

პეტროგრადი. „ნოვ. ვრემია“ სწერს. კიდევ ერთი ახალი ხერხი იხმარა გერმანიამ, რომ რუსების ყურადღება გალიციას აარიდოს და შეასუსტოს ბალტიის ზღვის შუა სანაპიროები სამხედრო ფლოტი დაავროვა. დაუჯერებელია, გალიციის ცხარე ბრძოლის დროს გერმანიამ სმვა ფრონტზე ახალი ოპერაცია გააჩაღოს,

ქურნალ-გაზეთებიდან

„Figaro“-ს სამხედრო მიმომხილველი პოლიბი სწერს: „გერმანეთა სწრაფი გამარჯვება გალიციაში უნდა მათს მძიმე არტილერიას მიეწეროს, თუ რა მნიშვნელობა აქვს არტილერიას, საინტერესოა გავიხსენოთ ის, არც ისე შორეული წარსული, როდესაც ზოგიერთა ჩვენი დამსახურებული ოფიცერი უარსა ჰყოფდა არტილერიის მნიშვნელობას და ურჩევდა კიდეც, მის გაძლიერებას ნურც ისე გულმოდგინებით მოველოდებითო. მათი აზრით არტილერიის გაძლიერება-კი არა, მხოლოდ გაუმჯობესობა იყო საჭირო. ხარისხი და არა რაოდენობა,—აი რას ამბობდნენ მაშინ. მაგრამ იყვნენ მოწინააღმდეგენიც, რომელნიც ირწმუნებოდნენ, რომ ხარისხი არ უარჰყოფს რაოდენობასაო. საჭიროა რაც შეიძლება მეტი კარგი ზარბაზნები გვქონდეს, როგორც გერმანელებსა აქვთო. ჩვენ მხოლოდ ეხლა ვხედავთ, თუ როგორ შემცდარნი ვიყავით, როდესაც ზარბაზნათა რაოდენობას ასე ნაკლები ყურადღება მივაქციოთ. ახლა არც ერთი სახელმწიფო რა დარჩენილა, რომელიც არტილერიას არ აძლიერებდესო.

წავიკითხე ერთი წერილი, სადაც სხვათა შორის, შემდეგი ეწერა: „ცეცხლის დაუდგრომელი ძალა—აი თანამედროვე ომის ტაქტიკის ახალი ფაქტორი“. სრულიადაც არა მსურს ვიფიქრო, ვითომც ეს „ახალი ფაქტორი“ იყოს! აქედან მხოლოდ ის მტკიცდება, რომ არტილერიას აქვს გარდამწყვეტი მნიშვნელობა. ნაპოლეონიც დიდად აფასებდა არტილერიას და ითხოვდა ზარბაზნების ერთბაშად სროლას, რომ საზოგადო ზარი შექმნილიყო—„თუ რომ ლაიპციგში 18 ოქტომბერს საღამოთი შემძლებოდა ზარბაზნიდან 30 ათასჯერ გამესროლა, ეხლა მთელი ქვეყნის მპყრობელი ვიქნებოდიო“. დიდებული მხედარ-მთავარი არა სტყუოდა: არტილერია, მისი სიმრავლე და სიძლიერე,—აი დღევანდელ ომის გარდამწყვეტი საშუალება! (პეტ. ვედ.)

ავსტრო-ვენგრიის ჟურნალ-გაზეთობა.

პირველ ხანად ავსტრიელი გაზეთები დიდად აღფროვანებული იყო ავსტრო-გერეანელთა გამარჯვებით გალიციაში, მაგრამ შემდეგ კილოს უკლეს და სწერდნენ რომ რუსის ჯარის განადგურება არც მაგრე ადვილი არისო.

ბელგიის ჯარები.

შვეიცარიულ გაზეთების სიტყვით ბელგიის ჯარში ექვსი დივიზიაა, თითო დივიზიაში 20,000 ჯარის კაცი ხუთი მათგანი პირველ პოზიციაზედ სდგას.

რუმინიელთა პოზიცია

ოფიციალური გაზეთი „Indep. Rou.“ იხილავს-რა საერთაშორისო ომის მსვლელობას, აღნიშნავს, რომ დღეს მთავარი მნიშვნელობა სამს გარემოებას აქვსო:

1) ახალი ბრძოლა და ოპერაცია პემიშლთან.

2) იტალიის გამოსვლა, რომელსაც ძალიან ვიწრო ფრონტზე მოუხდება ბრძოლა თავის ახალგაზრდა ჯარით ავსტრო-გერმანიის დღევანდელ დაქანცულ ჯართან.

და 3) გერმანელთა წყალქვეშა ნავების გაჩენა დარდანელთან.

გაზეთი ამბობს: ახლა კი ახლოვდება გადამწყვეტი მომენტები ევროპიულ დრამისაო და დაასკვნის:

„კვლავ მოუწოდებთ რუმინიას და ვსთხოვთ შეინახოს სიმშვიდე, რადგან ინტერესი და სარგებლიანობა უკეთესად იქნება უზრუნველყოფილი, უკეთუ რუმინიელნი დაიცავენ თავიანთ ერთობას და წესიერებას. გატაცება და უწესო გამოსვლა ბრძოლის ასპარეზზე მხოლოდ მათ სამშობლოს ავნებსო.“

სასკოლო საქმე პრუსიაში.

პრუსიის განათლების მინისტრმა ცირკულიარი დაუგზავნა გერმანიის სკოლების მთავრობას, რომელშიაც მოუწოდებს მას ყოველი ღონე იხმაროს რათა სწავლა-აღზრდის საქმე ნორმალურ პირობებში ჩადგეს. ამასთანავე სამინისტრო ავალებს სკოლის მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. პატრიოტულ ნიადაგზე აღზარდოს ახალთაობა რათა ვაჟები მომავალში თავის თავს ჯარის კაცებად სთვლიდენ, ქალები კი თავგანწირულებას უნდა იყვნენ შეჩვეულიო,—ამბობს ცირკულიარი.

პერემიშლის დათმობა.

„რეჩის“ აზრით რუსებს არ შეეძლოთ წინდაწინ პერემიშლის გაწმენდა და დატოვება, რადგანაც ამ შემთხვევაში მტერი შეიტყობდა მათ განზრახვას რუსები მხოლოდ დემონსტრატიულ როლს აკუთვნებდნენ პერემიშლს ე. ი. მას უნდა მიექცინა მოწინააღმდეგის უმთავრესი ყურადღება.

რუმინია და სამთა კავშირი.

„ბირუ. ვედომოსტ.“ კოპენჰაგენიდან ატყობინებენ რომ 1883 წელს რუმინია და სამთა კავშირის შორის საიდუმლო ხელშეკრულობა იყო დადებულიო და ამ ხელშეკრულობას ვადა გასდის მხოლოდ 1920 წ. ამ ხელშეკრულობის დარღვევა თუ ჰსურთ ერთი წლით ადრე უნდა გამოცხადდეს. ეს არის უმთავრესი კოზირი, რაიც რუმინელ ნეიტრალისტებს უჭირავთ ხელში.

ბულგარეთი ნეიტრალიტეტს იცავს.

„ნაროდნი-პრავაში“, როგორც ბულგართა ოფიციოზში, დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი, სადაც მკაფიოდ ნათქვამია, რომ ბულგარია არა სცვლის სანეიტრალიტეტო პოლიტიკასო.

ბოიკოტი.

ჩინელები ძალიან რომ ვერას გახდნენ იაპონიასთან, ქველსა და ნაცად გზას დაადგნენ: ბოიკოტი გამოუცხადეს იაპონურ საქონელს და ვაჭრობას. ეს მოძრაობა ისე მძლავრად მოედო მთელ ჩინეთს, ისე გაღრმავდა და გაფართოვდა, რომ იაპონიის ვაჭრობას დიდ ხიფათს უქადის. ეხლა ივლ. გადავიდა დიდ ოკეანეს კუნძულებზე, სადაც მრავალი ათასი ჩინელი ვაჭრობდა იაპონურ საქონლით. ამბობენ, იაპონიის ვაჭრობას ჩინეთსა და კუნძულებზე სრული დაშლა მოელისო.

სერბიის ასპარეზზე.

„ტანის“-სიტყვით ავსტრიელები აპირებენ იერიშების განახლებას სერბიის საზღვრებზე. უცდიან მხოლოდ მოვარდნილ მდინარეთა დაწყდომას. რიცხვით, 50 ათასი ჯარის კაცი დაუყენებიათ. თან ძძიმე არტილერია ახლავთ.

ვისპირნოთ!

გადიკითხეთ რომელიმე ქართულ გაზეთში ჩვენი ცხოვრების ახალი ამბები: ყველგან დილა-სეირნობას წაწყდებით.

იქ იმართება ლილა, აქ საღამო, იქ სეირნობა, აქ სეირნობა ლატარეით და ასე ყველგან: სეირნობა და სეირნობა! მართალია, მაისი ისეთი თვეა, როცა ყოველი ქართული საზოგადოება იღვიძებს და ჩვეულებრივად თავის სასარგებლოდ სეირნობას მართავს, მაგრამ ისიც მართალია, რომ წრევანდელი მაისიც არა ჩვეულებრივია.

იქ, შორეულ რუსეთში და აქაც, ჩვენს გვერდით, მრავალი ქართველი იხოცება, ჩვენ კი აქ ვსეირნობთ.

აჭარაში ხალხი იღუპება, ჩვენ კი ისევ ვსეირნობთ.

საქართველოში საშინელი შიმშილი დაჰქრის და დანაკარდობს და წალეკვას გვიქადის, ჩვენ მაინც ვსეირნობთ.

ვსეირნობთ დღისაც, ამ სისხლის წვიმების დროს, როგორც ვსეირნობდით შარშან და შარშანწინ, ისიც ორი გროშის გულისთვის.

ნამდვილ საქმეს კი ჩვენი მეზობლები აკეთებენ. აწყობენ ნაციონალურ კომიტეტს, ბიუროებს, კავშირებს,—ერთი სიტყვით აკეთებენ ნამდვილს სახალხო საქმეს, ჩვენ კი, შრომას გაურბით, მხიარულ დიღებსა-საღამოებს ვმართავთ და ბალებ-კლუბებში ვსეირნობთ. ასე ვატარებთ და ვხარჯავთ ძვირფას დროს.

რამდენიმე ქართველ სტუდენტსა სთხოვეს: მოაწყეთ რომელიმე დამშეულ პროვინციაში პატარა ორგანიზაცია საქველ-მოქმედო საზოგადოების დახმარებით, შეადგინეთ სტატისტიკური ცნობანი და ადგილობრივ გაეცანით სოფლის საჭიროებასაო.

— ამას ვერ მოვახერხებთ,—უპასუხეს,—მაგრამ სეირნობას მათ სასარგებლოთ დიდის სიამოვნებით გავმართავთო. მაშ გავმართოთ სეირნობანი და ყველამ ვისეირნოთ იქამდე, სანამ საშინელი სინამდვილე კარს არ მოგვადგება და არ დაგვიკაკუნებს.

იგი უკვე აკაკუნებს!

ეკალი.

უზრუნველ ქართველის დღიურიდან.

(შესავალისებური)

მეც აქა ვარ, აქ, ჩემის პატარა და გულწრფელობით გახიარებულ, უტყუარ ამბებით! და ვიდრე ეს ჩემგან იქნება დამოკიდებული, არც შევჩერდები, დაჟინებით განვაგრძობ ჩემი დღიურიდან ამ ამბების ამოკრებას. მათი გადათვალიერების დროს, მკითხველო, ტყუილად აიშმუშვნები ხოლმე და უკმაყოფილების ღიმილს აღიბეჭდავ შენს სახეზე! მე ხომ ციდან ჩამოვარდნილი არა ვარ და საიქაო ამბებს არ მოგითხრობ! მეც თქვენივე სისხლი და ხორცი ვარ—ჩემის დაუდევრობით, უენერგიობით, უშნოობით, უზრუნველობითა და მცონარეობით.

ჩემი არ იყოს, შენ რაღას მიკეთებ ეხლა, „სისხლის წვიმების დროს“, იმ დროს, როცა სხვა ყველა ერები და თიოქმის მკვდრებიც კი აღსდგნენ, მჭიდროდ შეკავშირდნენ, დაფაცურდნენ, არსებობისთვის ზრუნვამ და ზეკაცურმა ბრძოლამ მათში ფეხიანი თუ უფეხო შეადუღა, ერთი სახე მისცა; წარმოიშვა მათში სიცოცხლის მაჩვენებელი ნაკადი, რომელმაც ხმაურობითაც კი ამცნო არემარეს თავისი არსებობა—და დიდი საერო საქმე გააკეთა. ნუ თუ შენ აღარ გესმის რა ხდება იმ ქვეყანაში მაინც, რომელმაც შენ სიცოცხლე მოგანიჭა?!

არსებობის ღირებულების შემქნელი, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდობა გაკრეფილია, სოფელი მიტოვებულია, ერთი საუკეთესო კუთხე შენი ქვეყნისა აწიოკებულ-აოხრებულია, მეორე კუთხეში შიმშილია, ზოგი სიმწარით თავს იკლავს, ზოგი ქურდობს და ზოგიც ავაზაკობს. აბა მითხარ, ასეთ დროს, ჩემი არ იყოს, რაში გამოიხატა უნარი შენი არსებობისა, მოქმედებისა და სიცოცხლისა!?...

ჩემი დღიური შენი დღიურია და გირჩევ, ნუ დაიზარებ, დრო-გამოშვებით მაინც ჩაიხედე ჩემს სარკეში. დაე იაფფასიანი და მცირე ზომისა იყოს იგი! სულ არა იყოს ერა, შეიძლება ერთხელ მაინც დაინახო და შეისწორო თავზე აწეწილი ჭაღარა თმა, შენი დაღმეჭილი სახე და უსიცოცხლო, მიბნედილი თვალები.

გ. ახალციხელი.

განახლების იმედები

ომმა დიდი რეაქცია გამოიწვია რუსეთში უცხოელებისადმი. რუსეთის საზოგადოება ცდილობს ამაუშაოს ძალები საკუთარ სიმდიდრის დასამუშავებლად, რათა ამ გზით დაჰფაროს ის დიდი დანაკლისი, რომელიც ემჩნევა ცხოვრების ყოველ სფეროს სხვა და სხვა ქვეყნებთან კავშირის შეწყვეტის გამო. საერთო მსოფლმხედველობის, ცხოვრების სოციალურ და ეკონომიურ ფორმების განვითარებისათვის საჭიროდ სთვლიან გამონახონ საკუთარი ისტორიული დონე და მომავალი ამ დონეზე ააშენონ. საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ დროებითი შეუძლებლობა ზაფხულის უცხო ქვეყნებში გატარებისა—საერთო ბოიკოტად სურთ აქციონ. ამ ცეცხლის კიდების დროს მილიონები იხარჯება, კრება კრებაზე ინიშნება სამშობლო კურორტების გასაუმჯობესებლად. მთავრობა თანაგრძნობით ეკიდება და ყოველივე საშუალებას აძლევს ამის განსახორციელებლად. სწორედ ამ გვარ შემთხვევაში საზოგადოება იმის უტყუარ საბუთს ჰხედავს, რომ მომავალ რუსეთში . . . . . საზოგადო და კერძო ინიციატივას უფრო გზა მიეცემა, მეტი სოციალური სამართლე დამყარდება ქვეყანაზედ. შეიძლება ეს ერთნაირი ნუგეში იყოს იმ გულის ქენჯნისა და წარმოუდგენელ მსხვერპლისა, რომელსაც საზოგადოება ომის გამო ეწევა. სამართლიანია ასეთი მოვლენა თუ არა—იგი დღეს ჭეშმარიტს სინამდვილეს წარმოადგენს და ყველა თანასწორად უნდა იზიარებდეს ამ იმედს, რადგან ყველა თანასწორად ეწევა მომენტის მძიმე უღელს. სამწუხაროდ ჩვენ ამას არა ვხედავთ.

ჩვენ არა ერთნელ აღვნიშნავს ის გასაოცარი გამონაკლისები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ერის ცხოვრებაში ამ საერთო საზოგადოებრივ გამოფხიზლების ხანას. დღესაც გვინდა ერთს ჩვენს საზოგადოებრივ მნიშვნელოვან ფაქტზე მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. დანაკლისის ანაზღაურებას აქ, ჩვენ ქვეყანაში, აპიობენ. აქ უნდა მოეწყოს საზაფხულო სამყოფები, მისი ბუნებრივი სიმდიდრით უნდათ ისარგებლონ. კეთილი და პატიოსანი, ამის წინააღმდეგი ვის რა უნდა ჰქონდეს. მაგრამ აქაც ცხოვრების საერთო მიმდინარეობიდამ ერთ გამონაკლისს, დღევანდელ პირობებში კი შეუწყნარებელს, მოვლენას ვხედავთ—ჩვენი საზოგადოებრივი ძალების არარად, აბუჩად აგდებას. იმის მაგიერ, რომ ქართველი ძალებიც მოეწვიათ ამ საქმეში, პირიქით ყველა ის ქართველნი, რომელთაც თავის ცოდნისა და დაკვირვების წყალობით დიდი სამსახური შეეძლოთ გაეწიათ მოსულ და ადგილობრივ ბედისაგან გალაღებულ „მეცნიერთათვის“, განგებ იქსაქსებიან თბილისიდან. ჩვენ ვიცით რამდენიმე მაგალითი, რომ ისეთი ქართველი, რომელიც მთავრობისაგან რამდენჯერმე გაგზავნილი იყო საზღვარ-გარედ საკითხის სპეციალურად შესასწავლად, და მართლაც დიდი სამსახურიც გაუწია საკითხის მოგვაოებას და მისი კარგად მცოდნის სახელი დაიმსახურა—დღეს, როდესაც საქმე ხორციელდება—ეს პირი დროებით აქედამ მოშორებული გახლავთ, რასაც არავითარი საჭიროება არ მოითხოვს. შედეგი ადვილი მისახვედრია. ისეთ საქმეს, რომელსაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, სათავეში ყველა ჯურის მოსულნი ეყოლება. ეს-კი ნაცნობი ხილია ჩვენთვის. მისი შედეგები არა ერთხელ განუცდია ჩვენ ეროვნულ ცხოვრებას.

ასე უკუდმართად ტრიალებს ჩვენთვის ჩარხი. რუსეთში საქმეს ხელახლა აწყობენ. ჩვენში ჩვენს დაწყებულ და გამართულ საქმეს სპობენ. მოსკოვის და სარატოვის ქალაქის თვითმართველობანი მილიონობით ხარჯავენ ბავშოათვის სანატორიუმის მოწყობაზე, მთავრობისაგან ყოველივე დახმარებას შოულობენ, ექიმებს ინთავისუფლებენ და ჩვენში კი მთელი კავკასიისათვის ერთად-ერთ სბავშო სანატორიუმის პატრონი ისეთ ადგილას გადახიზნეს, რომ არავითარი საშუალება აღარ არის იმოქმედოს სანატორიუმმა. ისეთი საჭიროება სანატორიუმისა კი არ იყო, როგორც დღეს. ყოველწლიურად მშვენიერ ბუნების კალთას საღ აღმზრდელ პირებში ასამდე ბავშვი აფარებდა თავს. დიდი მოთხოვნილება არის. რამდენი მშობელია მოშორებული სახლს, რამდენია იძულებული საღ მოსაზრებით ბავშვი ოჯახის უბედურობას მოაშოროს, რამდენ ობოლისათვის არის საჭირო ჰავა და მოვლა, რამდენი მამა წაიღებს ბრძოლის ველზე დარდს ბავშვების დაუბინავებლობის გამო.

რიგი აეხსნება ასეთი გამორაკლისები ჩვენთვის.

რად უნდა შევადგენდეთ გამონაკლის საერთო ცხოვრებიდამ, რად უნდა ვიყვეთ მოკლებულნი საერთო იმედებს?

ივერი.

თბილისის გუბერნიის-თავად-აზნაურთა ფლიური კრება.

26 მაისს კრება გაიხსნა საღამოს 9 საათზე. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ხვალ, 27 მაისს, საღამოს 8 საათზე, მოასვენებენ თავ. კ. ა. ცხედარსაო და სთხოვა თავად-აზნაურობას მიეგებნენ ცხედარს რკინის გზის სადგურზე და იქიდან სიონის ტაძრამდე გააცილონ. შემდეგ წაკითხულ იქმნა წინა დღის კრების ოქმი. ამის შემდეგ კრება შეუდგა მიმდინარე 1915 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის განხილვას. შემოსავლის რაოდენობა ანგარიშით უდრის 454.082 მან. 46 კაპ. ეს ჯამი შესდგება: უმაღლესად ნაბოძებ ყოველ წლიურად მოზარდთა აღსაზრდელად 20.000 მან., თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოგებიდან 283.278 მან. 89 კაპ., კახეთის რკინის გზის აქციების პროცენტები 27.103 მან. 57 კაპ., მიმდინარე ანგარიშების პროც. 1000 მან., თავად-აზნაურობის ქარვასლის შემოსავალი 75.000 მ., ელექტრონის სადგურის 40.000 მან., წყნეთის ქუჩაზე მამულის შემოსავალი—1.200 მან. და საგაბაშვილო თხინვალის მამულის 500 მან.

ხარჯები მიმდინარე წლის განმავლობაში ნავარაუდევია 444.449 მ. 95 კ. ჯამში შედის: სათავად-აზნაურო ბანკის მიერ 10 პროც. გადარიცხვა მოგებიდან სათადარიგო თანხაში 28,327 მან. 89 კ., ქართული გიმნაზიის შენახვა, მისივე შენობის ქირა, გიმნაზიის შენობის ვოლის გასტუმრება და სტიპენდიები 87,250 მ., დახმარება სხვა და სხვა სასწავლებელს 19,600 მან. დახმარება ქართულ სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათ. 23,400 მან., დეპუტატთა საკრებულოს შესანახად და მარშლებზედ ხარჯი 26,750 მან., საადგილ-მამულო კომისიას 76,485 მან. 30 კაპ. ხარჯი კახეთის რკინის გზისათვის 70,000 მან., ქარვასლაზედ ხარჯები 65,219 მან. 2 კ., ელექტრონის სადგურის შენახვა 45,950 მან., წყნეთის ქუჩაზე მამულს 897 მ. 74 კ., საგაბაშვილო—თხინვალის მამულის ხარჯი 270 მან.

შემოსავლის ანგარიში უცვლელად იქნა დამტკიცებული. გასავლის ანგარიშიდან მოასწრეს მხოლოდ ერთ2 მაწილი განხილვა—საადგილ-მამულო კომისიის თვის ხარჯის გაღების ანგარიშამდე.

ხარჯების განხილვის დროს კამასტყდა სათავად-აზნაურო ბანკის მოგებიდან 10% გადარიცხვამ სათადარიგო თანხაში. თავ. ე. დ. ჩოლოყაშვილი, რ. გაბაშვილი და სხ, ამტკიცებდნენ, რომ ბანკის რწმუნებულებმა ასეთის მოქმედებით დაარღვიეს თავად-აზნაურთა უფლება, რომელიც უნდა აღვადგინოთო. მ. ვ. მაჩაბელმა ის აზრი გამოთქვა, რომ ბანკის წესდება დამტკიცებულია ხელმწიფის მიერ და საკრედიტო კანცელარიას არ შეუძლიან მისი შეცვლა, ხოლო საკანონმდებლო წესით შეცვლა წესდებისა ამ ჟამად სასურველი არ არისო. ალექსანდრე ყანჩელი, თავ. გ. ამირეჯიბი, თავ. მ. ჭავჭავაძე და პ. გედევანიშვილი წინააღმდეგ აზრს ადგნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბანკის ასეთი საქციელი იქნებ ლახავდეს თავად-აზნაურობის უფლებას ფორმალურად, მაგრამ

ეს ოპერაცია სასარგებლოა თავად-აზნაურობისთვის, თუ გინდ იმ მხრივ, რომ თავად-აზნაურობას ფული შეენახებაო. კამათი გაგრძელდა და ცხარე ხასიათი მიიღო. თავმჯდომარემ თავ. მ. ა. სუმბათაშვილმა წინადადება მისცა კრებას მოწვეულ იქმნას შემდეგ კრებაზე ბანკის მოხელენი და სხ. საკითხის საფუძვლიან გამოსარკვევად და რასაც მაშინ გადავწყვეტთ, იმ გზას დავადგეთო. წინადადება მოწონებულ იქმნა.

აგრედვე კამათი გამოიწვია ანგარიშის იმ ადგილმა, საცა გუბერნიის მარშლისათვის სახარჯოდ ჩაგდებულია 2000 მ. თავ. ვ. დ. ვაჩნაძემ განაცხადა, რომ მარშლები საზოგადოდ, როგორც გუბერნიისა, ისე მაზრების, დიდ ხარჯს ეწევიან სამსახურის გამო, თავიანთ საქმეზე ხელი აქვთ აღებული და სამაგიეროდ ჩვენ კი არავითარ სასყიდელს არ ვაძლევთ მათ. არც ერთი მარშალი არ წასულა, რომ ვალი არ დასდებოდესო და სხ. ამ მოსაზრებით თავ. ვაჩნაძე წინადადებას აძლევდა კრებას 20000 მანეთი გადავდვათო მარშლების მიერ ხარჯისა და ზარალის დასაფარავათო, რომლისაგანაც 8000 მანეთი გუბერნიის მარშალს უნდა მიეცეს, ხოლო დანარჩენი 12000 მან. ყველა მაზრის მარშლებსო. ბ-ნმა შანშიევმა ამას დასძინა, რომ მარშლების თანაშემწენი, დეპუტატები და მათი თანაშემწენიც ცდებიან საზოგადო საქმეებზედ და ხარჯს ეწევიან და ფულს თუ გადასდებს კრება, ამ ფულში უკანასკნელთაც უნდა ედოს წილიო. თავ. ი. ბარათაშვილი, გ. ამირეჯიბი და სხ. ამტკიცებდნენ, რომ მარშლობა საპატიო თანამდებობაა და ვისაც შეძლება აქვს და ამ თანამდებობას ისურვებს, უსასყიდლოდ უნდა იმსახურონ, როგორც აქამდის იყოვო. თ. ი. ბარათაშვილმა ისიც დასძინა, რომ 2000 მანეთი დიდ ნაზუქს არ შეადგენს, მაგრამ ამ ფულს თუ კიდევ მიემატა, ვაი თუ არა სასიამოვნო შედეგი მოჰყვესო. ბოლოს მიღებულ იქმნა წინადადება აირჩიონ კომისია, რომელიც ამ საგნის შესახებ თავის მოსაზრებას წარმოუდგენს კრებას. კომისიის წევრობაზე ბევრმა უარი განაცხადა. შემდეგ როგორც იქნა, დაიყოლიეს და აირჩიეს თავ. მ. დ. ჭავჭავაძე, ღერ. გ. ნ. ყაზბეგი, გ. ი. ამირეჯიბი, ვ. დ. ვაჩნაძე და გ. გ. მაღალაშვილი.

კრება დაიხურა ღამის 1 საათზე. შემდეგი კრება დანიშნულია 28 მაისისათვის, საღამოს 8 საათ.

ახალი ამბავი

— დეკეშა თავად-აზნაურობას. დაქვრივებულმა კნეინამ ტატიანა კონსტანტინეს ასულმა მუხრან-ბატონმა თბილისის ქართველ თავად-აზნაურთა მარშლის აღმასრულებელს თავ. მ. სუმბათაშვილს ტყვრიდან გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„გთხოვთ საქართველოს ექსარხოსთან ერთად ხელმძღვანელობა გაუწიოთ დახვედრას. მსურს რომ ნეშთი ჩემის განსვენებულ მეუღლისა ესვენოს დილამდე სიონის ტაძარში, მეორე დღეს კი გასვენებულ იქნას მცხეთაში. დასაფლავება და წირვა საგვარეულო საკრძალავში, განსვენებულის პაპას გვერდით. გთხოვთ აგრედვე იყიდოთ რაც კი თბილისში ვარდი იქნება და მოიხმაროთ იგი სამგლოვიარო შემკულობის მაგივრად, ვინაიდგან არ მსურს ნახვა არც სამგლოვიარო შავი ძაძა, არც შავი ბალდახინ“.ი

— ცხედრის მოსვენება. გუშინ საღამოს 6 საათზე თბილისში მოასვენეს ნეშთი ბრძოლის ველზედ განგმირულის ფლიგელ-ადიუტანტის თავად კონსტანტინე მუხრან-ბატონისა. ცხედარს სადგურზე დაუხვდნენ საქართველოს ეგზარხოსი ყოვლად უსამღვდელოესი პიტირიმი, მთელი ქალაქის სამღვდელოება, ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელნი, მრავალი თავად-აზნაურობა თავის მარშლის, თავ. გ. სუმბათაშვილის მეთაურობით და ბევრი ხალხი. სადგურიდან ცხედარი გაასვენეს სიონის ტაძარში, სადაც გადახდილ იქმნა პირველი პანაშვიდი. დღეს, 28 მაისს დანიშნულია მეორე პანაშვიდი. დღესვე ცხედარს მცხეთაში გაასვენებენ. საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით ცხედრის დახვედრაც და გასვენებაც მოხდება განსაკუთრებულის ცერემონიალით.

— თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის გარდაცვალების გამო, ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა მისს მიერ გაგზავნილ სამძიმრის დეპეშაზე დიდ მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს სახელობაზე შემდეგი საპასუხო დეპეშა მიიღო: „გულწრფელად გმადლობთ თანაგრძნობისათვის ჩვენი ოჯახის დამწუხრების გამო, კონსტანტინე. ელისაბედი“.

— თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის დაკრძალვის შესახებ. ერევნის პოლკის ქალები დეპეშით თხოულობენ მათის მხრით ვერცხლის გვირგვინი დაედვას თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის კუბოს.

— თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის დაკრძალვის შესახებ. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მიიღოს მონაწილეობა თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის მოსვენების დროს და აგრეთვე გააცილოს ცხედარი მცხეთამდე, სადაც დაკრძალვას დაესწრება.

— საყურადღებო განცხადება. ქალაქის მოღვაწეთა უკანასკნელ კრებაზე წაკითხულ იქმნა შემდეგი განცხადება: „ძალიან საშიში ცნობები მოდის ქუთაისის გუბერნიიდან: „შიმშილობა მეტად გაძლიერდა. არსებულ სიძვირისა გამო ხალხს აღარ აქვს სახსარი არსებობისა, ამიტომ ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვთხოვთ ქალაქის მოღვაწეთა მეოთხე კრებას რათა მან აღმოაჩინოს საშრალება ხალხის შველისა და გამოაცხადოს სურვილი, რომ უმაღლესი მთავრობა დაუყოვნებლივ მიეშველოს დამშეულ გლეხობას. მოვითხოვთ, რომ ეს განცხადება ეხლავე წაკითხულ იქმნას კრებაზე“.

— საოლქო სასამართლოში. სამშაბათს, 26 მაისს, თბილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა სოფ. საგარეჯოში მცხოვრებელ დათიკო ყანდარელის მკვლელთა საქმე. მოკვლას აბრალებდნენ გერეჯელთავე- ზინგერის მოხელეს დ. მჭედლიშვილს, მეჩექმე ვ. მჭედლიშვილს, მჭედელს სანდრო გზირიშვილს დ ხარაზს დ. ბრიელაშვილს. საქმე გაირჩა ხალხის თანადასწრებით. მჭედლიშვილებსა და გზირიშვილს იცავდა ვექილი ტურკევიჩი, მხოლოდ ბრიელაშვილს ვექილი ოსიკო ბარათაშვილი. დაზარალებულის სამოქალაქო დამცველად იყო ნაფიცი ქექილის თანაშემწე ივ. ჩერქეზიშვილი. საქმის გარჩევა დ მოწამეთა გამოკითხვა გათავდა ნაშუადღევის 5 საათამდე, რის შემდეგაც ყველა ბრალდებულნი გამართლებული იქმნენ და იმავე დღეს გამოუშვეს.

— სახალხო სახლი. ნინო ჩხეიძის წარმოდგენა. შაბათს, 30 მაისს, ჩვენი ნიჭიერი მსახიობ-ქალი ნინო ჩხეიძე გამართავს ფრიად საყურადღებო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე გაბ. დ'ანუციოს ოთხ მოქმედებიანი ცნობილი ტრაგედია „ჯიოკონდა“. ნინო ჩხეიძე შეასრულებს სილეიას როლს, ალ. იმედაშვილი ლიუჩიოს. რეჟისორობს მ. ქორელი.

— ღარიბები უწყალოდ უნდა დარჩენ. უფროს ინჟინერის მუხარინსკის წინადადების თანახმად ქალაქის გამგეობამ დაადგინა შეწყვეტილ იქმნას ქალაქის წყალსადენის გაფართოება, ე. ი. წყალი აღარ გაიყვანონ იმ სახლებსა და უბნებში, საცა ეხლა არ არის. ასეთ საუცხოო გადაწყვეტილების საბუთად ასახელებენ წყლის სიცოტავეს წყალსადენში.

— შიმშილი სამეგრელოში. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფს ე. გეგეჭკორს შემდეგი ამბავი მიუღია ახალსენაკიდან: ჩამოვედით აქ დამშეულები და მივმართეთ იჯარადარს ქავთარაძეს სიმინდი ეშოვნა ჩვენთვის. რაც აქ სიმინდი იშოვებოდა, 400 ფუთამდე დაურიგა უკიდურესობამდე გაჭირვებულებს. დაუყონებლივ გვიშველეთ, ვიხოცებით შიმშილით. მოვიდეს დეპუტატი ჩხენკელი და გაიგოს—რა მდგომარეობაში ვართ და რა მოგველის“:

— ქართველ მოღვაწეთა პანთეონი. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ 26 მაისს დაადგინა: დიდუბის ეკლესიის გალავანში შემოღობოს პანთეონისათვის შეძენილი ადგილი და მიენდოთ გ. ლასხიშვილს და ი. გიორგობიანს გამოარკვიონ რამდენი დაჯდება ხსენებულ ადგილის შემოღობვა და აგრედვე იკისრონ თვით შემოღობვის მოწესრიგება.

— ღვინის გაყალბების წინააღმდეგ. 1914 წ. 24 აპრილს მთავრობამ გამოსცა კანონი ყურძნის ღვინის გაყალბების წინააღმდეგ. ეს კანონი თანდათან ძალაში შედის მთელს რუსეთში და ჩვენშიაც. თბილისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტში განსაკუთრებული კომისია აირჩია, რომელსაც დავალებული აქვს ქიმიურად შეისწავლოს თბილისის გუბერნიის კუთხის ღვინის შემადგენლობა, რათა ამ საშუალებით გაადვილდეს ყალბი ღვინის გამოცნობა.

— სანოვაგე. 26 მაისს თბილისში მოტანილია: პურის ფქვილი 14 ვაგ., ჭვავი 1 ვაგ., ფხვიერი შაქარი 2 ვაგ., შეშა 16 ვაგ., ქვის ნახშირი 9 ვაგ., ნავთი 7 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., აგური 1 ვაგ., პერლოვის კრუპა 999 ფუთი, კართოფილი 39 ფ., კომბოსტო 122 ფუთი, წვანილი 188 ფუთი, ცოცხალი ქათმები 36 ფ., ახალი ხილი 851 ფუთი, ახალი თევზი და ხიზილალა 238 ფ., რკინეულობა 1300 ფ., ძროხის ქონი 522 ფ. და ძეხვი 15 ფუთი.

— სეირნობა. ქ. შ. წ. გ. საზოგადოებამ 26 მაისს გადასწყვიტა 7 ივნის საზოგადოების სასარგებლოდ გამართოს სეირნობა. შრომის განაწილება მოხდება თვით საზოგადოების წევრთა-შორის.

— შემწეობა. ამას წინად საავადმყოფოში მოსამსახურე ლავრენტი ტუღუში სახადით გარდაიცვალა. ქალაქის აღმასრულებელმა კამისიამ მის სახლობას 960 მან. დახმარება აღმოუჩინა.

— ნაძალადევის სცენის მოყვარეთა კრება. 24 მაისს ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრის წევრთა წლიური კრება შესდგა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ანანიაშვილი. გამგეობის მოხსენების თანახმად კრებამ წრის წევრებად ჩარიცხა სცენის მოყვარენი: ქ-ხი სოფიო გოგაშვილისა, ვ. კუდუხაშვილი, ი. კანდელაკი, გ. სვანიძე, ა. სვანიძე, გ. გაბინაშვილი, ა. გოგაშვილი, გ. შავშიაშვილი და ა. ძაძამია. შემდეგ კრება შეუდგა გასული დროის ანგარიშისა და მომავალი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. 1914 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე ანგარიში ძველ გამგეობას ჯერ არ წარმოუდგენია; იმავე წლის 1 აპრილიდან მიმდინარე 1915 წლის 1 აპრილამდე წრეს ჰქონია შემოსავალი 1498 მანეთი 87 კაპ., დახარჯულა იმავე დროს განმავლობაში 1519 მან. 30 კაპ., მაშასადამე ხარჯს გადაუმეტებია შემოსავალზე 20 მან. 43 კაპ. მიმდინარე წლის 1 აპრილიდან 1916 წლის 1 აპრილამდე ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 2170 მ. კრებამ დაამტკიცა ანგარიშიც და ხარჯთ-აღრიცხვაც. შემდეგ კრებამ დაამტკიცა ანგარიშიც და ხარჯთ-აღრიცხვაც. შემდეგ კრებამ დაადგინა: 1) ბილეთის ფასი წარმოდგენებზე არ აღემატებოდეს 10—30 კ.; 2) სარეპერტუარო კომისიაში უნდა შედიოდნენ რეჟისორი, გამგეობის ორი წევრი, სცენის მოყვარეთა მხრივ ორი წევრი და სამი გარეშე კაცი, მცოდნენი დრამატიულ ხელოვნებისა, გამგეობის მიერ მოწვეულნი; 3) მიეცეს რეჟისორს წლის განმავლობაში ერთი ბენეფისის გამართვის ნება, მაგრამ ბილეთის ფასი არ უნდა აღემატოს 10—60 კაპ. დასასრულ გამგეების წევრები იქმნენ არჩეულნი.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ წრე დიდს გასაჭირშია და თეატრს განსეცდელი მოელის, რადგან ნაძალადევში ღარიბ-ღატაკი ხალხი სცხოვრობს. და ვერ შესძლებს თეატრის ყველა ხარჯების დაფარვას, თუ გარედან არ დაეხმარნენ.

ჩვენი ცხოვრება

მგზავრის შენიშვნები.

(იხ. „საქართ“ № 3.

ციხის სანახაობის და მდებარეობის მშვენიერება აღემატება მხატვრულ ფანტაზიურ წარმოდგენას. „სწორედ სამოთხის წარმოდგენა თუ შეედრება ამ მშვენიერებასო“,—იძახოდა მეტი სიამით დამთვრალი ჩემი თანამგზავრი, რომელიც სიღნაღში ჩემსავით პირველად იყო.

ქალაქიდან გზა პირდაპირ ციხის გალავანს აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით მისდევს. ციხის გალავანი თავის კოშკით სრულებით შენახულა. იმისი სიდიადე და ხელოვნურად აღმართვა განსაცვიფრებელია. რამდენი შრომა და ჯაფა, რამდენი კულტურული, ზნეობრივი და გონებრივი ძალა იყო საჭირო, რომ ესეთი დიდი და მძლავრი ციხე აღემართნათ!

ამ დროს მახლობელის ეკკლესიიდგან ზარის რეკა მოისმა. უნებლიედ საყდარმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. შეხედვისათანავე საშინელი უსიამოვნება ვიგრძენ, რადგან სამრეკლო ციხის ერთ-ერთ კოშკზე იყო დაშენებული. თვალწინ წარმომიდგა ჩვენი დაუდევრობა და უპატივცემულობა ძვირფასი ისტორიული ნაშთებისა. რა იყო რო სამრეკლო არ დაეშენებინათ ციხეზე და ციხის კოშკი სამრეკლოს ქვემო სართულად არ ეხმარათ-მეთქი. მყისვე დავეშვით დაღმა. რამდენიმე წუთის შემდეგ გავჩნდით საყდრის გალავანში. შენი არ ვიცი, მკითხველო, მაგრამ მე კი გულს ისარივით მოგხვდა, როცა დავრწმუნდი, რომ თურმე ესეც სომხების საყდარი იყო და კოშკზე სამრეკლოც მათ დაუშენებიათ. ჩემს გულის წყრომას თითქოს ბუნებაც კი გამოხმაურებოდა...

ქალაქის გამგეობას ზედ კოშკის ძირას ელექტრონის განათების ბოძი აუმართავთ და ვიდრე განათებას მოასწრებდნენ, ბოძი მეხს დაულეწია და ეხლა კოშკის ძირიდან საცოდავად გამოიყურებოდა...

გულჩათხრობილი და თავჩაქინდრული გამოვბრუნდი ციხის მეორე მხარეს გასასვლელად...

არ გადამიდგამს ოცოდე ნაბიჯი, რომ ფეხი დავადგი ძველებურ ჩუქურთმით შემკობილ გრძელ ქვას... ქვა შუაზე გაღარულიყო და სახურავიდან რკინის მილით ჩამოსულ წყლის ქუჩაზე გასასვლელი ღარის დანიშნულებას ასრულებდა. მდიდრული სახლის მცხოვრებელი სომეხი გახლდათ და თვით სახლი ვისი იყო და ან ქვა საიდან გახლდათ მოტანილი აღარ მიკითხავს და გზას გავუდექ.

ბუნების მშვენიერებით და თვალ-წარმტაცის სანახაობით გართობილი ნელნელა მივუახლოვდით ციხის გალავნის მეორე მხარეს. ჩემმა თანამგზავრმა ციხის გარეთ გასავალ კარებისაკენ მიმითითა და სასაფლაოს ქვები და ძეგლები მაჩვენა: „ალბათ ჩვენი ციხის მეომართა და აქ თავდადებულთა სახსოვრად აგებული ძეგლებია, ეხლა რომ რუსები „ძმობის საფლავს“ უწოდებენო“.

ფეხი აუჩქარეთ და გარკვევით დავინახეთ, რომ ციხის ძირზე ძლიერ გძელს მანძილზე შიგა და შიგ საფლავებია და თანამედროვე ძეგლები აქა-იქ ამკობს სასაფლაოს. „რა სისულელეა ამრიგათ დასაფლავებაო“,—მინამ დაუახლოვდებოდით იწყინა ჩემმა თანამგზავრმა,—რაღა ციხის ძირს ჩაუმწკრივეს და ისიც ამ სიგრძეზე; ავიღებდით და ერთგან დავასაფლავებდით, თითქოს, რაღაც სხვა მიზნით დაუსაფლავებიათ ასეო; ან და სჩანს, ადგილის ზომა და ზოგვა არ ყოფილა აქეთკენო; და ან რაღა სასაფლაო ციხეში მოაწყვესო“?.. ამ ლაპარაკით უკვე მიველით ძეგლებთან. ძლიერ განვცვიფრდით, როცა დავრწმუნდით, რომ აქაც სომხის სასაფლაო იყო. თურმე ციხის მთლიანი კედელი გაურღვევიათ და ციხის გარეთ სასაფლაო თანდათან ციხის შიგნითაც შემოუწევიათ. ნახულით გულდამწვარმა ჩემმა ამხანაგმა მითხრა, ამას ნუღარ ვუყურებთ, მოდი, წმ. ნინოს საფლავი ვნახოთ, იქნებ იმითი მაინც გული დავიამოთო...

საღამო ჟამი იყო, ჩვენ უკვე ეტლით ბოდბის ხევისაკენ მივექანებოდით. მალე გამოჩნდა მშვენიერი კეკლუცი ბოდბის ხევის მონასტერი; მხოლოდ რაღაც სტილის დისონანსი შორიდანვე მეუცხოვა.

გადმოვხდით თუ არა, პირდაპირ გალავანში შევედით. დიდი უზარმაზარი შენობა მონასტერთან არსებულის ქალთა სასწავლებლისა, მყუდროდ გამოიყურება და არავითარი სულიერის იქ არსებობას არ ამჟღავნებდა.

მხოლოდ რუსული წარწერით უნდა მიმხვდარიყავით, რომ აქ ქალთა სასწავლებელი ყოფილა, ალბად რუსული.

მონასტრის შესასვლელს კარებში მონაზონი ქალი შეგხვდა და მონასტერში შეგვიძღვა.

პირველი სიტყვიდგანვე შევატყვეთ, რომ მონაზონი რუსის ქალი იყო. რასაკვირველია, ჩვენ ყელასფერი გვეინტერესებოდა. რამდენიმე შეკითხვის შემდეგ დავრწმუნდით, რომ მონოზანი საკმაოდ ვერას გვიხსნიდა... იმან ბოდიში მოიხადა, რომ კარგად არა ვიცი რაო და მცოდნეს მოვიყვანო. ჩვენ ვსთხოვეთ, რომ ქართველი მონოზანი მოეყვანა, რადგან ჩვენ ხუცური წარწერების წაკითხვა არ ვიცით და წაგვიკითხავსთქო. მონაზონი შეყოყმანდა და თავი უხერხულად იგრძნო.

„როგორ, ქართველი მონაზონები არ არიან აქაო“? შეეკითხა ჩემი თანამგზავრი. „ნუთუ წმინდა ნინოს ქართველ განმანათლებელს სასაფლაოს მონასტერს მხოლოდ და მხოლოდ რუსები ემსახურებაო?

„არა ქართველი მონოზნებიც-კი არიან, მაგრამ შეიძლება თუ არა მათი აქ მოყვანა არ ვიცი; წავალ, სხვას მოვიყვან, ის სანთელსაც მოგყიდისთ და ქართველი მონოზანის მოყვანაც იმასა სთხოვეთ, რადგან მაგ თხოვნის შესრულება მე არ შემიძლიანო“.

მონაზონი წავიდა და მეორე „ქუდ“ დახურული მონაზონი მოიყვანა. ესეც რუსი გახლდათ; მან ჯერ სანთლები მოგვყიდა, მერმე გვკითხა, რა გნებავთ, რათა გინდათ ქართველი მონაზონი, აი, მე აგიხსნით ყველაფერსაო. ჩემს თანამგზავრს კილო მონაზონის ლაპარაკისა არ მოეწონა და განმეორებით იმასაც შეეკითხა: „მიბრძანეთ თუ შეიძლება აქ რამდენი მოლოზანი ბრძანდებით“?

—„150 მეტი ვიქნებით რუსი დებით.

— ამდენს მონაზონებში ნუთუ ერთი არ არის ქართველი? ხუცურის კითხვა არ ვიცი და წარწერები ამიხსნასო? კვლავ შეეკითხა ჩემი თანამგზავრი. ამაზე მონაზონმა [illegible] ბატონო მობრძანდით მე თქვენ გაჩვენებთ ყველაფერს და აგიხსნითო. ჩვენც უკან გავყეთ.

მიგვიყვანა ჩრდილოეთის კედლისაკენ თაღიან სვეტთან და გვიჩვენა, ეს გახლავთ იმპერატორი ალექსანდრე პირველი, კურთხეული, რომელმაც განამშვენიერა ეს მონასტერი და თავადაც კეთილ ინება აქ დახატვისა.

ეს მონასტერი აგებულია მეოთხე საუკუნეში ძირიანად დაანგრიეს თათრებმა; შემდეგ კვლავ ამავე საუკუნეში აღადგინეს და მას აქეთ არსებობსო...

ჩვენ ვსთხოვეთ თვით საფლავი წმინდა ნინოსი ეჩვენებინა... ისიც გაგვიძღვა. ამ დროს შემოგვემატნენ ჩვენი ნაცნობი თბილისელი წვრილი ვაჭრები, რომლებიც სიღნაღში შემთხვევით იყვნენ და სთხოვეს იმავ მონაზონს ქართველი მონაზნის გამოძახება, რადგან რუსული არ ესმოდათ. ცოტა არ იყოს გამწყრალი კილოთი წავიდა მონაზონი და მოიყვანა მოხუცებული ქალი,—აი თუ გნებავთ ქართველი მონაზონი, მაგრამ ამან არაფერიც არა იცის რაო,—დასძინა მომყვანმა. ქართველი მონაზონი მოგვესალმა. ეტყობოდა, სოფლელი დედაკაცი უნდა ყოფილიყვეს უსწავლი. მან მხოლოდ ეს გვამცნო, რომ აქ არქიელი მობრძანდაო და ბრძანაო, რომ რუს მონაზნების ნაცვლად უსათუოდ აქ ქართველი მონაზვნები უნდა იყვნენო. ქართველ განმანათლებელს წმინდა ნინოს საფლავს მხოლოდ ისინი უნდა ემსახურებოდენო. ამის იმედი ძლიერ მაქვსო. მე ვლოცულობ მუდამ, რომ როგორმე მოვესწრო იმ დღეს, რომ ქართველებს დაუბრუნდეს ეს წმინდა საფლავი.—დასძინა მოხუცმა და ცრემლები ჩამოჭყარა...

კვლავ პირველმა მონაზონმა გვაჩვენა საფლავი წმ. ნინოსი და აგვიხსნა, რომ წმინდა ნინომ მოარჯულა მეფის ცოლი „სოფიო“; გვაჩვენა უკანასკნელი ბოდბელი მიტროპოლიტის სურათი და საფლავი.

შემდეგ მიგვიყვანა კედლის მხატვრობის დასათვალიერებლად და თანაც მხიარულის კილოთი და თავმომწონეთ გვიჩვენა ჩვენი წმიდა მამების სურათები, რომელთაც როგორღაც არა ჩვეულებრივი მხატვრობა ეტყობოდა. მხატვრობისა არა გამეგება რა, მაგრამ გავოცდი ამ სურათების შეუსაბამობით საერთოდ და გადამახინჯებით. „დიახ ეს ჩვენი დების გადაკეთებული ნახატები გახლავთო. ჩვენ გვსურდა სულ დადაგვეკეთებია მთელი მხატვრობა, მაგრამ სინოდმი ნება აღარ დაგვრთოვო. „შესაძლებელია, ალექსანდრე კურთხეულს რომ არ ებრძანებინა,—სთქვა ერთმა ჩვენმა თანამგზავრთაგანმა,—ამასაც ისე გალესავდნენ თეთრი კირით და ისევე „გაალამაზებდენ“, როგორც „გაამშვენიერეს“ შუამთის უძველესი მხატვრობანიო...

დიდხანს აღარ დავრჩენილვართ. ჩემი თანამგზავრნი სალოცავად დარჩნენ მონასტერში, მე კი მოვაქროლებდი ეტლს და გულჩათხრობილს როგორღაც სევდის ღრუბელი ვერ მომეშორებინა. და საოცარი ეს იყო, რომ ჩემი სევდა, ჩემი ნაღველი თითქოს გამჭვირვალ ლეჩაქად იქცა, რაიც ჩემს უკან დატოვებულ სამშობლოს ერთ თვალწარმტაც კუთხეს თავზე ძაძად ეფინებოდა...

გ.-ზიანი.

—

საიდუმლო სამარენი.

თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს ჯავრის ხეობა, განსაკუთრებით ღვერცევის მთა **რარო**, განთქმული რამდენადაც თვის სიკეკლუცით, იმდენად ისტორიული ლეგენდებით. ხალხმა ეს წალკოტის სანახაობა დაუსაკუთრა დიდი თამარის სახელს. იქ მრავლად გაშლილი ნანგრევები, განსაკუთრებით მოწითალო ქვა, ჯვრითა და ირმის ნახატით, მოგვითხრობს შორეულ წარსულის სიდიადეს, უცნობ ამბებს, რაც ხალხმა მომხიბვლელ ზღაპრად გადალექსა.

ხალხს სჯერა, რომ ქვა ბეთლემიდან არის მოტანილი, ერუსალიმიდან, რომ მის ქვეშ ასვენია დიდებული **თამარი.** მოგვითხრობენ იმასაც, რომ სახელოვან დედუფალს და მის მხარის დამამშვენებელს დავით სოსლანს სრა-სასახლე ჰქონდათ აგებულიო. და ამის დასამტკიცებლად გვითითებს გაბნეულ საიდუმლო სამარეთა ძეგლებზე, სადაც წარწერანი ჟამთა ვითარებას ერთ ძხრით და მეორეთი ვიღაც უცნობ ვანდალის წერაქვს ამოუშლია. ამ ძეგლთა შორის ხალხის ფანტაზია ორს მისჩერებია, როგორც ვსთქვით, ერთი راროსას და მეორე ყე-

ულთისას, აღსანიშნავია აგრეთვე კამთავის ძეგლიც, რომელსაც რუსუდან დედოფალისად აცხადებს ხალხი. საოცარია, რომ ჩვენი ხალხი—ოსობა, ყველა ამ ძეგლებს, ტაძრის ნანგრევებს თამარს და სოსლანს აკუთვნებენ და ქართველებზე არა ნაკლებ სიყვარულითა და თაყვანის ცემით ინახულებს ხოლმე მათ.

მაგრამ მიდის დრო, ყოველისფერი იცვლება, იცვლება ხალხის გულიც, მისი ტრადიციაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უცხო ძალა იჭრება და თავის ახალ გავლენას ახდენს მაზე. აი, დღესაც, რაროს მახლობლად, თამარ დედოფლისა და დავით სოსლანის ძეგლებთან, ახალ პოლიტიკის მომხრეებმა, ახალი ეკლესია აუშენეს—რომანოვთა საგვარეულო, 300 წლის იუბილეის აღსანიშნავად. მართალია, ხალხი არ ივიწყებს წარსულსაც, ჰსურთ, რომანოვების გვედით ბაგრატიონთა დინასტიაც არ იყოს დავიწყებული, თავიანთ თხოვნაში ეგზარხოსისადმი სწორედ აღნიშნეს თავიანთი სურვილი, მაგრამ სავალალო ის არის, რომ „ახალი ეკლესიის აშენება“ უძველეს ეკლესიის გადაკეთებაში გამოიხატა. მაშასადამე, ახლო მომავალში უნდა ვიფიქროთ, რომ საიდუმლო სამარენი, სადაც ხალხმა თას ფანტაზიას გააშლევინა ფრთა, სადაც „წელიწადში ერთხელ თამარის მადლით ცა იხსნება, ნათელი ღვთისა გადმოდის და რასაც ითხოვ, შეგისრულდებაო“, მალე გაჭრება და წაიშლება. ამას მოჰყვება თვით ძეგლთა წარხოცვაც, იმ ძვირფას ნაშთთა დაღუპვა, რაიც ხალხის რწმენით „ერუსალიმითიდან“ ანუ „ბეთლემიდან“ მოუტანიათ, ანდა ცხეთის წმიდა ადგილებიდან“... მაგრამ ხალხი ეხლა ამას არ კითხულობს, იგი უაღრესად ბნდნიერად ჰგრძნობს თავს, რომ „რომანოვების“ სახელიც „ბაგრატიონთა“ ძეგლის გვერდით აიმართება მათს სასახელოდ, მათს განსაახლებლად...

ვასილ თედეშვილი.

რუსეთი

რედაქტორები.

რუსეთში სამი თვით ციხე მიუსაჯეს ვარშავის გაზეთის „Kurier Poranny“-ს რედაქტორს, ბატონ როვინსკის, იმ სიტყვის დაბეჭდვისათვის, რომელიც ბ-ნმა ლემონიცკიმ სათათბიროში წარმოსთქვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გამო.

ეკატერინოსლავში დააპატიმრეს გაზეთ „უტრო“-ს რედაქტორი, იმ წერილის გამო, რომელიც მან მიუძღვნა თავად-აზნაურთა ყრილობას.

ჩაქუჩმა გამოიღვიძა.

21 მაისს მოსკოვს შესდგა თათბირი საგუბერნიო ერობათა და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარეთა. თავმჯდომარეობდა გრაფი მუსინ-პუშკინი, ერობათა კავშირის მთავარ რწმუნებულის ამხანაგი. თათბირს უნდა გამოერკვია, თუ რა გზით შეიძლებოდა რუსეთის მიწათ-მოქმედების განთავისუფლება უცხოეთის უღელისგან. თათბირს დაესწრო 90 წარმომადგენელი საგუბერნიო და სამაზრო ერობათა. იყვნენ აგრედვე რუსეთის ცნობილი მოღვაწენი და მეცნიერები. თათბირი გახსნა ბ-ნმა მუსინ-პუშკინმა. თავის მოკლე სიტყვაში სთქვა, საჭიროა შეძლების და გვარად რუსეთის განთავისუფლება უცხოეთის კაპიტალისა, უფრო განსაკუთრებით გერმანიის მრეწველობითი ენერგიის ბატონობისაგანო. როდესაც ამ მიზნისთვის შეერთდებიან სახელმწიფო მოღვაწენი, მეცნიერების წარმომადგენელნი და ხალხის საჭიროების კარგი მცოდნენი, ადგილობრივ თვითმართველობათა და ერობათა მოღვაწენი, საქმეც სახეირო გზით ივლისო. საჭირო არისო დაასკვნა მ. პუშკინმა, გაერთიანება რუსეთის ერობათა, რომ მოგვარდეს ურთიერთ შორის დანაკვეთ, სასყიდ და გასასყიდ საქონლის ტრიალი, მოეწყოს თანაზიარი წარმოება სამეურნეო იარაღებისა განსაკუთრებით რუსეთის მინდვრების გასაპოხიერებლად.

შემდეგ პროფესორმა ნედოკუჩაევმა მოხსენება წარმოადგინა სუპერფოსფატის მრეწველობის შემოღების საჭიროების შესახებ რუსეთშივე.

ბიბლიოგრაფია

ნ. ადონცი. დიონოსე თრაკიელი და სომეხი მთარგმნელები. პეტროვრადი 1915.

აღნიშნული სათაურით რუსულად დაიბეჭდა ახალი დიდ-ფასიანი თხზულება სომეხთა გამოჩენილ მეცნიერის ნ. გ, ადონეცისა- თავის შრომას პატივცემული ავქსონი მიუძღვნის საგრამატიკო მწერლობას, რომელიც როგორც თვითონვე იუწყება, სომეხთა შორის განვითარდა დიონოსე თრაკიელის გარშემო. ეს დიონოსე ცხოვრობდა მეორე საუკუნის ქრ. წ., და იგი ითვლება პირველ გრამატიკოსად. გრამატიკა გადმოიღეს სომხუბმა ადრევე: სომხური ნუსხები ჩნდებიან მე-VII საუკუნითგან. ამ ნუსხების ძებნისთვის ავქსონს შეუწირავს ბევრი დრო, ორჯელ სწვევია ვენეციასა და ვენის წინასაცავებს, უმუშავნია ეჩმიაძინში და სხ. შეუკრებია-რა სათანადო მასალა, შეუდგენია ხსენებული ყოველ მხრივ შემკული დიდი წიგნი (CLXIII+305).

წიგნშია ორი განყოფილება: გამოკვლევა და ტექსტები. შედარებანი, სალექსიკონო მასალა და სხ. გამოკვლევაში ავქსონი გვაუწყებს ცნობებს შესახებ ნუსხების შედარებისა და მათ ავქონებისა, ნუსხების შინაარსისა და სხ. სომხებს ჰყოლიათ გრამატიკოსები: გრიგოლი, ვარდანი, იოანე, ისაია, მოსე, სტეფანე, დავითი, ამამი. სტეფანეს მასწავლებლად ყოფილა მოსე, ამაას წინად უშრომიათ უსახელოს და დავითს, ამ სახელებს გადავყევართ მე-XII საუკუნეში, რომელიც თითქოს უნდა იყოსო დრო ამ გრამატიკოსებისა. ამავე საუკუნეში მე-VI-დამ მოკიდებული ფრიად განვითარებული იყო საგრამატიკო მწერლობა თვით ბიზანტიაში. ადონეცის დადგენილებები. მათი განვითარება და დასკვნები წმინდა მეცნიერულია და არა ჰგავს იმათსას, რომელნიც ხშირად, მარტო სახედურების **შეხმაურების** მიხედვით დიდდიდ კითხვებს სწყვეტენ... ადონეცის წიგნი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა ზომაზე უნდა ამაღლებულიყო სომეხთა კულტურა მე-VII საუკუიეში, რომ შესაძლებელი შეიქმნა ასრე მდიდრად აყვავებულიყო თვით საგრამატიკო მწერლობაც.

დავუმატებთ, რომ „დიონოსე თრაკიელმა და სომეხ მთარგმნელებმა“ ავქსონი დააჯილდოვეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხით,

მ. ჯანაშვილი.

საქართველოს ისტორიული მასალების დაწვა და დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების 25 წლის შესრულების გამო.

(დასასრული. იხ. „საქართ.“ № 3)

ბერეე გახლდათ 1860 წლებში თბილისში გამოჩენილი პირი, სახელოვანი, ეს იყო ხარისხით დეისტვიტელნი სტატსკი, დიდი ხარისხის და ჩინების პატრონი. ამ პირმა დააფუძნა თითქმის კავკასიის მუზეუმი, საჯარო ბიბლიოთეკის თავმჯდომარეც ეს გახლდათ, ესე პირი იყო თავმჯდომარე არხეოლოგიური კომიტეტის, საქართველოში, თბილისში, პირველად ლიტოგრაფია ამან გახსნა, რუსულს ენაზედ წერილებსაც სწერდა და ბეჭდავდა ლეკების შესახებ, ინგუშების, ჩეჩნების და სხვა ასეთი მთის ერების. დიდის მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის წინაშეც მას დიდი ხმა და გავლენა ჰქონდა, როცა არხეოლოგიური კომიტეტი და კომისია დაარსდა, მაშინ ამათ თავმჯდომარედ მეორედ იქმნა ამორჩეული და ამასვე მიანდოს ველიკოკნიაზმა „კავკასიის აქტების“ გამოცემის საქმე.

ამავე კომისიაში, ბერეეს ამხანაგებად არჩეულ იქმნენ დიმ. ბაქრაძე და ნიკოლოზ ბერძენოვი. რამდენიმე ხნის შემდეგ, საქმე მოაწყეს უკვე, აქტების შრომაც დაიწყეს. აქტების მასალა მოგროვებულ იქმნა ყველა იმ ადგილებიდან, სადიც კი მთავრობის დაწესებულებაში რამე ძველი ქართული ქაღალდები ინახებოდა, სიგელ-გუჯრები და ნამეტურ ის ბარათები და საქმენი, რაც კი ქართველების რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების საქმეებს შეეხება.

ასეთის მასალებით ყოფილა ერთობ ბევრი, თითქმის ურმებით საზიდავი. მასში ყოფილა ბევრი მეტად ძვირფასის ღირსების, იშვიათის ცნობებით. ბევრის ბევრი მათში ყოფილა დაუფასებელის ღირსების საქართველოს ერის და ივერიის შესახებ! მათში მრავლად ისეთი ქაღალდებია, რომელთა ცნობების მოყვანა ჩვენგან შეუძლებელია, რადგანაც მათ შესახებ ერთი და ორი სტრიქონი არ კმარა. არამედ მთელი ტომები დაიწერება. მაინც მოკლედ მოვიხსენებ ამ მასალათა ამბებსაც.

ხსენებულის მასალებიდან ქართველი კაცი კარგად გაიცნობდა ერეკლე მეფის პოლიტიკას, სპარს-ოსმალთა ვითარებას, მათი ამხედრება საქართველოზედ, ქართველების რუსეთის კარისადმი დაახლოვებას, დესპანთა გაგზავნაზე შეერთების დავალებას და ბავრიც სხვა ამ გვარების, რაც ჩვენის ისტორიისთვის თურმე ერთობ დიდს საუნჯეს შეადგენდა. ყველა ეს მასალები დაწერილები იყო ქართულს ენაზედ. ყველა ეს მასალები უნდა მოეთავსებინათ თავთავის წელიწადთა რიგობაზე „კავკასიის აქტებში“ რადგანაც ბერეემ ქართული ენა არ იცოდა, ამიტომ ყველა ამ მასალებს დიმ. ბაქრაძეს და ნიკ. ბერძენოვს აძლევდა ღა მათ ავალებდა ამ მასალების განხილვას. რუსულად თარგმნას და მერე რასაკვირველია ამას დაბეჭდავდა ბერეე.

მასალებს რასაკვირველია, ყველანი ფრთხილად ეკიდებოდნენ, ყველა მასალები ხელუხლებლივ უნდა დაებეჭდათ. არსად არაფერი სიტყვაც კი არ უნდა შეცვლოდა, ან გამოეტოვებინათ, ან რამე დაეკლოთ, ყველა ხელუხლებლივ უნდა დაებეჭდათ, თვით დიდის მთავრის ფარგლებიც ასეთი ყოფილა აქტების შესახებ. ესეთი პირობები დიმ. ბაქრაძემაც კარგად იცოდა და ნიკ. ბერძენოვმაც.

ესენი ქართულ მასალებს არჩევდნენ, მერე სთარგმნიდნენ და შემდეგ ამის თარგმანსა და დედნებს ბერეეს ერთად წარუდგენდნენ ხოლმე დასაბეჭდად. ბერეე მიიღებდა მასალებს, წაიკითხავდა და აქედამ ზოგს ბეჭდავდა და რაც წინააღმდეგად ეჩვენებოდა მას აქრობდა, თურმე სწვავდა ისე რომ მისი აღარც დედანი ინახვებოდა და აღარც თარგმანი.

აქტები ნელა იბეჭდებოდა, სამ ოთხ წელიწადში თითო ტომი ძლივს გამოდიოდა, ამიტომ მასალების ხსოვნა დიმ. ბაქრაძესაც ავიწყდებოდა და ნიკ. ბერძენოვსაც. ესენი ამ ბოროტებას ვერ მიხვდნენ ვერც პირველი ტომის გამოსვლის, ვერც მეორე ტომის; მესამე ტომის გამოსვლის შემდეგ მიხვდნენ და ყველაფერი შეიგნეს კარგად. ბერეეს მასალების ცნობები ჰკითხეს, ჩვენი მასალები რა იქნა, რატომ არ დაბეჭდეთო. ბერეე პასუხს არ აძლევდა.

ამ გარემოებამ მათში დაბადა დიდი შფოთი, დიდი განხეთქილება, საქმის გამორკვევის, ანუ მასალების მოსპობის ამბების შეტყობის შემდეგ, ნ. ბერძენოვი თითქმის დამბლად ჩავარდნილა, თითქმის სულიერად დაცემულა და ტანჯავდა სწორედ. ეს გარემოება ნ. ბერძენოვის მეხის დაცემა ყოფილა, იგი ამის შემდეგ ველარ გამომდგარა, ძრიელ დასევდიანებულა და დაავადებულა.

როგორ, განა ამას ველოდით ჩვენაო, რომ ჩვენი ტომის ძვირფასი საუნჯე, ძვირფასი მასალები ამ მშვიდობიან დროს ასე უმერთოდ მოისპობოდა. ასე გამოგვეცლებოდა. ამას ჩვენ არ ველოდით ჩვენის განათლებულის კაცისაგან, ასეთ ბოროტების ჩადენა არავის შეჰფერდაო. ბერეემ გამოიჩინა თურმე ნამდვილი პოლიციური სისასტიკე და ბოროტება. ბრძანება და სხვანი, ჩემი ნება არის, რაც მინდა დავბეჭდავ და რაც მინდა იმას მოვსპობო.

ასეთის უსამართლობისაგან დაავადებული ყოფილა ნიკ. ბერძენოვი. ამიტომაც იტყოდა ხოლმე დიმ. ბაქრაძე, რომ ნიკ. ბერძენოვი ბერეემ მოკლაო. დიმ. ბაქრაძესაც ყოველთვის ცხადად ეტყობოდა, რომ იმ ბარბაროსობისაგან იგიც დიდად იყო დანაღვლებული და დარდით სავსე, როგორც ნიკ. ბერძენოვი

დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების დღიდამ გავიდა 25 წელიწადი და დღესაც ამ ბარბაროსობის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, არავისაგან შეგვიტყვიარა. საჭირო კია რომ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და დღეს მაინც გაირკვეს და გამოცხადებულ იქმნეს მისი ცნობები თუ ჩვენმა მტერ-მოყვარე ისტორიული მასალების მჭამელმა რა საისტორიო მასალები მოგვტაცა და დაუწო ქართველ ერს.

დავსძენთ აქ, რომ განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის შენიშვნის თანახმად, როგორც ნიკოლოზ ბერძენოვი ყოფილა ამ ბოროტებისაგან აღშფოთებული, ამაზედ არა ნაკლებ გახლდათ განსვენებული თვით ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძეც. ერთიცა და მეორეც ამ გარემოებას არ ივიწყებენ და ქართველთ ტომისათვის დიდს უბედურებად სთვლიდნენ.

ნ. ბერძენოვის გარდაცვალებაზედ, დ. ბაქრაძემ რუსულს ენაზედ წიგნიც დასტამბა 1873 წ. იქ ამაზედ არაფერს სწერს იგი.

ზ. ჭ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ხილის მაზანდა.

ამხანაგობა „ქართლი“ ამით აცხადებს, რომ 25-ს მაისს თბილისის ბაზარზედ გაიყიდა:

ხენდრო	6	მან.
ალუბალი	6	„
ბალი წითელი	7	„
ბალი თეთრი	4	„
ბალი ჭრელი	5	„
ატამი	7	„
ტყემალი მსხვილი	3	„
26-ს ხენდრო	6	„
ბალი წითელი	7	„
ბალი თეთრი	4	„
ალუბალი	6	„
ატამი	8	„
ტყემალი	2	„
კომბოსტო	1—60	
27-ს გოგრა ბალი	4—50	
თეთრი ბალი	3—50	
ალუბალი	6—50	
ატამი	9	მან.
ტყემალი ნამყ.	3	„
წვრილი ტყემალი	1—60	

კახეთის რკინის გზის მიმოსელა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	8 „	58 „	„
ვაზიანიდან	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან	11 „	58 „	„
ბადიაურიდან	12 „	56 „	„
მელაანიდან	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან	3 „	37 „	„
კარდენახიდან	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისიდან მოდის:

წნორის-წყალიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდენახიდან	9 „	41 „	„
გურჯაანიდან	10 „	24 „	„
მელაანიდან	11 „	39 „	„
ბადიაურიდან	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „	13 „	„
თბილისში	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	25 „	„
გურჯაანში	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსელა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან	9 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფიდან	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს.	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ	დღ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა.

25—4

მეხილეთა ამხანაგობა

„ქართლი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განუოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით“**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს: მთელი წლით—7 მან., ნახევარი წლით—4 მან., 3 თვით—2 მ. 50 კ.; ერთი თვით თბილისში—80 კაპ., თბილისს გარეთ—90 კაპ.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, поч. ящ. 199; Евгенію Илларіоновичу Урушадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. წერილები კი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, „Танамедрове Азри“, почтов. ящ. 199.

კანტორის ადრესი: თბილისი, ბარონის ქუჩა, № 15.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალო ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

რედაქციის მისამართი: სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი. **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Пурцели“. поч. ящ. 190.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„საშუბლო“

(გამოდის ქუთაისში)

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „საშუბლო“.** ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ქსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან